

1987



ISSN 0203—2023  
საქართველოს  
სახალხო კულტურის  
მინისტრის  
მიერ გამოცემა

პროლეტარების  
კულტურის  
მინისტრის  
მიერ გამოცემა

საქართველოს

საბჭოთა

№ 4

სოციალისტური

რესუბლიკის

1987

ემაღლები სახაოცე  
უცყვებისი

საქართველოს სსრ ემაღლები საგაოცე გამოცემა

საქართველოს საგარეო სოციალისტური კულტურული განვითარების



# უმაღლესი საგარეო კულტურის

№ 4 (500)

ეკილი

1987 წელი

ფ ი ნ ა რ ს ი

განყოფილება პირველი

86. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის 29-ე მუხლში ცვლილების შეტანის თაობაზე.
87. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ა. ა. ალაზ-ვერდიევის საქართველოს სსრ ნაითობპროცესურებით მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნულის შესახებ.
88. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში დამატებებისა და ცვლილებების შეტანის შესახებ.
89. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხანაგური სასამართლოების შესახებ დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
90. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგნილება წითელი წყაროსა და კაბინეტის რაონებში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და სახალხო სასამართლოების ოჩივნებისათვის მშადების მიმღინარეობის შესახებ.
91. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგნილება პარტიის XXVII ყრილობისა და სკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენურის მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოს ფართო საგარობის უზრუნველყოფისათვის ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების მუშაობის შესახებ.





106. Саўжыртвэйланс  Сілк  Умаслелесі  Саўкіос  Зрэчінідзіўміс  Зрэдакнёбшулэда  Саўе́лміштіўжаніяўшчынаў  Зрэгіёўгтур-Са́дэйгем  Інсტрументаў  «Уаўгавірнокрэйкаўшысі»  Саўжыртвэйланс  Сілк  Умаслелесі  Саўкіос  Зрэчінідзіўміс  Саўпачыон  Сігэллют  Даўжыннадзеўбіс  Шэса́кэд.
107. Саўжыртвэйланс  Сілк  Умаслелесі  Саўкіос  Зрэчінідзіўміс  Зрэдакнёбшулэда  Саўе́лміштіўж  Са́дэйгем  Інсტрументаў  «Уаўгавірнокрэйкаўшысі»  Музыка  Саўжыртвэйланс  Сілк  Умаслелесі  Саўкіос  Зрэчінідзіўміс  Саўпачыон  Сігэллют  Даўжыннадзеўбіс  Шэса́кэд.
108. Саўжыртвэйланс  Сілк  Умаслелесі  Саўкіос  Зрэчінідзіўміс  Зрэдакнёбшулэда  Амб.  С.  Г.  Рыгаўда  Саўжыртвэйланс  Сілк  Умаслелесі  Саўкіос  Зрэчінідзіўміс  Саўпачыон  Сігэллют  Даўжыннадзеўбіс  Шэса́кэд.
109. Саўжыртвэйланс  Сілк  Умаслелесі  Саўкіос  Зрэчінідзіўміс  Зрэдакнёбшулэда  Амб.  Г.  Г.  Анфалуш-Ладас  Саўжыртвэйланс  Сілк  Умаслелесі  Саўкіос  Зрэчінідзіўміс  Саўпачыон  Сігэллют  Даўжыннадзеўбіс  Шэса́кэд.
110. Саўжыртвэйланс  Сілк  Умаслелесі  Саўкіос  Зрэчінідзіўміс  Зрэдакнёбшулэда  Амб.  К.  О.  Ваўжна  Саўжыртвэйланс  Сілк  Умаслелесі  Саўкіос  Зрэчінідзіўміс  Саўпачыон  Сігэллют  Даўжыннадзеўбіс  Шэса́кэд.
111. Саўжыртвэйланс  Сілк  Умаслелесі  Саўкіос  Зрэчінідзіўміс  Зрэдакнёбшулэда  Амб.  В.  В.  Гарадзюа  Саўжыртвэйланс  Сілк  Умаслелесі  Саўкіос  Зрэчінідзіўміс  Саўпачыон  Сігэллют  Даўжыннадзеўбіс  Шэса́кэд.
112. Саўжыртвэйланс  Сілк  Умаслелесі  Саўкіос  Зрэчінідзіўміс  Зрэдакнёбшулэда  Амб.  Б.  Б.  Гондзяр-Шэйніс  Саўжыртвэйланс  Сілк  Умаслелесі  Саўкіос  Зрэчінідзіўміс  Саўпачыон  Сігэллют  Даўжыннадзеўбіс  Шэса́кэд.
113. Саўжыртвэйланс  Сілк  Умаслелесі  Саўкіос  Зрэчінідзіўміс  Зрэдакнёбшулэда  Амб.  Г.  О.  Міхельеві-Ладис  Саўжыртвэйланс  Сілк  Умаслелесі  Саўкіос  Зрэчінідзіўміс  Саўпачыон  Сігэллют  Даўжыннадзеўбіс  Шэса́кэд.
114. Саўжыртвэйланс  Сілк  Умаслелесі  Саўкіос  Зрэчінідзіўміс  Зрэдакнёбшулэда  Амб.  Л.  Д.  Ліхане-Рашко-Шэйніс  Саўжыртвэйланс  Сілк  Умаслелесі  Саўкіос  Зрэчінідзіўміс  Саўпачыон  Сігэллют  Даўжыннадзеўбіс  Шэса́кэд.
115. Саўжыртвэйланс  Сілк  Умаслелесі  Саўкіос  Зрэчінідзіўміс  Зрэдакнёбшулэда  Амб.  Д.  О.  Шынкіна-Шэйніс  Саўжыртвэйланс  Сілк  Умаслелесі  Саўкіос  Зрэчінідзіўміс  Саўпачыон  Сігэллют  Даўжыннадзеўбіс  Шэса́кэд.
116. Саўжыртвэйланс  Сілк  Умаслелесі  Саўкіос  Зрэчінідзіўміс  Зрэдакнёбшулэда  Амб.  Г.  Г.  Нікіла-дас  Саўжыртвэйланс  Сілк  Умаслелесі  Саўкіос  Зрэчінідзіўміс  Саўпачыон  Сігэллют  Даўжыннадзеўбіс  Шэса́кэд.
117. Саўжыртвэйланс  Сілк  Умаслелесі  Саўкіос  Зрэчінідзіўміс  Зрэдакнёбшулэда  Амб.  Г.  О.  Міндахіна-Са́тагіс  «Саўжыртвэйланс  Сілк  Даўматэшчарэбшулэд  Лаўроўнаўшчыя́рнай»  Саўпачыон  Чынды́з  Міністэрства  Шэса́кэд.
118. Саўжыртвэйланс  Сілк  Умаслелесі  Саўкіос  Зрэчінідзіўміс  Зрэдакнёбшулэда  Даўтуміс  Г.  Рыгораві-Задас  Саўжыртвэйланс  Саўкіос  Зрэчінідзіўміс  Даўматэшчарэбшулэд  Лаўроўнаўшчыя́рнай  Міністэрства  Да  Музыка  Саўжыртвэйланс  Сілк  Саўпачыон  Чынды́з  Міністэрства  Шэса́кэд.
119. Саўжыртвэйланс  Сілк  Умаслелесі  Саўкіос  Зрэчінідзіўміс  Зрэдакнёбшулэда  Саўе́лміштіўж  Са́дэйгем  Інсტрументаў  «Уаўгавірнокрэйкаўшысі»  Музыка  Саўжыртвэйланс  Сілк  Саўпачыон  Чынды́з  Міністэрства  Шэса́кэд.



120. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძნებულება ცეკავშირის წესრეგულის  
მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.
121. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძნებულება ფიზიკური კულ-  
ტურისა და სპორტის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭე-  
ბის შესახებ.
122. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძნებულება განათლებისა და  
პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ  
საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.
123. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძნებულება ამ. ვ. ს. დავლიანი-  
ძისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინიცირის“ საპატიო წოდების მინიჭე-  
ბის შესახებ.
124. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძნებულება ამ. ნ. ლ. ჯაფა-  
რიძისათვის „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის დამსახურებული მუშაკის“ სა-  
პატიო წოდების მინიჭების შესახებ.

#### განყოფილება გისამი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა  
აღმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა.

## გაცემის პირზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**86** „საქართველოს სსრ გვირჩევის თაობაზე“ საქართველოს სსრ კანონის 29-ე მუხლის ცვლილების უტარის თაობაზე

„სახელმწიფო არბიტრულის შესახებ სსრ კავშირის კანონმდებლობაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 18 თებერვლის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

ამოღებულ იქნეს „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესახებ“ საქართველოს სსრ 1978 წლის 21 დეკემბრის კანონის 29-ე მუხლიდან მესამე ნაწილი (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1978 წ., № 12, გვ. 253).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 10 აპრილი.

№ 1200—Х I

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**87** პ. ა. პ. ალავერდივანის საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით მოგარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშნულის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დანიშნულის მმართველი აგი თოლი ალავერდივანი საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით მოგარაგების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 13 აპრილი.

№ 1205—Х I.



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძელებული საქართველოს სსრ ერგორთ ჩატანოვადლო აპტში დამატებაშისა და ცვლილებების უმატარის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეტანილ იქნეს დამატებები და ცვლილებები საქართველოს სსრ შემდეგ საკანონმდებლო აქტებში:

1. საქართველოს სსრ სასამართლო წყაბილების შესახებ კანონში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1981 წ., № 13, მუხ. 292):

1. 58-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის ახალი პირველი პუნქტი:

„1) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში საქმეებს ვანიზილავს ზედამდეველობის წესით“:

პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7 პუნქტები ჩაითვალოს შესაბამისად მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6, მე-7, მე-8 პუნქტებად.

2. 59-ე მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 59. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მიერ იმ საკათხებ-ს განხილვა, რომლებიც არ არის დაკავშირებული სასამართლო საქმეთა გაღაწყვეტასთან“.

3. მე-60 მუხლის მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პლენუმის დადგენილებათა პროექტისა და სასამართლო საქმეებზე პროტოტია ასლები ეგზავნებათ პლენუმის წევრებს, საქართველოს სსრ პროცერორის და საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრს არა უგვიანეს ათი დღისა სხდომამდე“.

II. საქართველოს სსრ სისხლის საპაროლის საპროცესო კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 11; 1982 წ., № 6, მუხ. 166; 1984 წ., № 4, მუხ. 100):

1. 25-ე მუხლში:

მე-15 პუნქტს სიტყვების „გარდა სასამართლოების პრეზიდიუმების“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმისა“:

მე-16 პუნქტს სიტყვების „მიღებულია სასამართლოების პრეზიდიუმების“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის“.

2. 382-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსრ კავშირის გენერალურ პროცერორის უფლება აქვს შეიტანოს პროტესტი საქართველოს სსრ ყოველ სასამართლოს განაჩენებები, განჩინებასა და დადგენილებაზე. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს უფლება აქვს შეიტანოს პროტესტი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის, პრეზიდიუმის დადგენილებებზე და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოს სახით მოქმედდებს, განაჩენებსა და განჩინებებზე. სსრ კავშირის გენერალური პროცერორის მოადგილებს უფლება აქვთ შეიტანონ

პროტესტი საქართველოს სსრ ყოველ სასამართლოს განაჩენზე, განჩინებული და დადგინდებაზე საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებათა გარდა. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილებს უფლება აქვთ შეიტანონ პროტესტი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის აქმეთა სასამართლოს კოლეგიის, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოს სახით მოქმედებს, განაჩენებსა და განჩინებებზე და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებებზე. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს, საქართველოს სსრ პროკურორის და მათ მოადგილებს უფლება აქვთ შეიტანონ პროტესტი რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს, აფხაზეთის ასტანის და აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განაჩენებზე, განჩინებებსა და დადგენილებებზე. გარდა ამისა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარესა და საქართველოს სსრ პროკურორის უფლება აქვთ შეიტანონ პროტესტი საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებებზე“.

3. 385-ე მუხლს დატაროს შემდეგი შინაარსის მეხუთე ნაწილი:

„საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი განიხილავს პროტესტს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებებზე“.

4. 388-ე მუხლში:

მე-2 ნაწილის მეორე წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმისა და პრეზიდიუმის სხდომაზე მონაწილეობს რესპუბლიკის პროკურორი“;

მე-6 ნაწილს სიტყვების „სათანადო სასამართლოს პრეზიდიუმს“ შემდევ დაემატოს სიტყვები „და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმს“.

5. 322-ე მუხლის მეორე ნაწილს დაემატოს სიტყვები „ხოლო პლენუმის დადგენილებას — სხდომის თავმჯდომარე და პლენუმის მდგრანი“.

III. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1964 წ., № 36, მუხ. 662; 1982 წ., № 6, მუხ. 166):

1. 332-ე მუხლში:

მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2) სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმისა და პრეზიდიუმის დადგენილებებ-



ზე და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლულოში  
შემთა სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილებასა და განჩინებაზე, რომელიც  
პირველი ინსტანციის სასამართლოს სახით მოქმედებს;

3) სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილებს — საქართვე-  
ლოს სსრ უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, განჩინებასა და დაფენი-  
ლებაზე, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის დადგენილე-  
ბის გარდა“;

მეოთხე პუნქტს დაემატოს სიტყვები „და საქართველოს სსრ უმაღლესი  
სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებებზე“;

მე-5 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის წინადადება:

„გარდა ამისა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს  
და საქართველოს სსრ პროკურორს უფლება აქვთ შეიტანონ პროტესტი საქა-  
რთველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგანილებებზე“.

2. 335-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეხუთე ნაწილი:

„საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი განიხილავს პრო-  
ტესტს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილე-  
ბებზე“.

3. 341-ე მუხლში:

მესამე ნაწილის უკანასკნელი წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქ-  
ციით:

„საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმისა და პრეზიდიუმის  
სხდომაზე მონაწილეობს რესპუბლიკის პროკურორი“.

მეშვიდე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შესაბამის სასამართლოს პრეზიდიუმსა და საქართველოს სსრ უმაღლესი  
სასამართლოს პლენუმს გამოაძევ დაოგენილება, ხოლო საქართველოს სსრ  
უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა კოლეგიის — გან-  
ჩინება, რომლებიც მიიღება ხმების უმრავლესობით. თუ ხმები თანაბრად გაი-  
ყო, პროტესტი უარყოფილად ითვლება, რადგან ხმების უმრავლესობა ვერ  
მიიღო“;

მერვე ნაწილს სიტყვების „პრეზიდიუმის თავმჯდომარე“ შემდეგ დაემა-  
ტოს სიტყვები: „ხოლო პლენუმის დადგენილებას — პლენუმის თავმჯდომარე  
და მდივანი“.

IV. ძალადაყარგულად ჩაითვალოს „საქართველოს სსრ სისხლის სამართ-  
ლის სპროცესო კოდექსისა და სამოქალაქო სამართლის სპროცესო კოდექსში  
ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრე-  
ზიდიუმის 1982 წლის 16 ივნისის ბრძანებულება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი,  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

## 89 აგხანაგური სასამართლოების უსახებ დაგულებაზი ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1977 წლის 28 ივლისის ბრძანებულებით დამტკიცებული მხანაგური სასამართლოების შესახებ დებულების (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1977 წ., № 7, მუხ. 90; 1985 წ., № 10, მუხ. 368) 23-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „საძლიანი დამატებითი შეებულებით, ხელფასის შენარჩუნებით“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხალია.

თბილისი, 1987 წლის 22 აპრილი.

№ 1223—XI.

საქართველოს სსრ უმაღლესი საგვოს პრეზიდიუმის დადგენილება

## 90 წითელი ფაროსა და კასპის რაიონებში სახალხო დაუშტატთა ადგილობრივი საგოვებისა და სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის მზადების მიზანისარების უსახებ შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა სახალხო დეპუტატთა წითელი წყაროსა და კასპის რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა ამხ. ამხ. მ. გუნჩენკოსა და ნ. გოდერძიშვილის ინფორმაციები, აღნიშნავს, რომ ამ რაიონებში სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის მზადება მიმდინარეობს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთვის ღირსეულად შეხვედრისათვის მშრომელთა პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ვითარებაში.

წითელი წყაროსა და კასპის რაიონებში ორგანიზებულად დაიწყო საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი — სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებისა და სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეობის კანდიდატების დასახელება, აგრეთვე სახალხო მსაჯულთა არჩევნები. შრომითი კოლექტივების წინასაარჩევნო კრებებზე, სოფლის ყრილობებზე, როგორც წესი, ასახელებენ და განიხილავენ დეპუტატობის რამდენიმე კანდიდატურას, რაც ქმნის შესაძლებლობას უფრო დემოკრატიულად წარიმართოს ეს პროცესი, დეპუტატობის კანდიდატებად წამოაყენონ მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, სახალხო ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებიც დამსახურებული ავტორი-



გადაცემის მიზანი ამ საქართველოს კულტურულ ნაკრძალებათა გამოსახულების დაცვა.

3. რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომ გალრმავების, საარჩევნო პრაქტიკის სრულყოფის თაობაზე პრატიკის XCVIII ყრილობისა და სკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მოთავრებათა შესაბამისად უზრუნველყონ. განსახორციელებელ ღონისძიებათს საჯაროობა, მასხობრივი ინფორმაციის აღგილობრივ საშუალებათა მუშაობის გაუმჯობესება. მიღლივონ, რომ მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული საარჩევნო კამპანიით გაძმვეული მასების პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა 1987 წლის საგეგმო დავალებათა და აღებულ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესასრულებლად.

4. სახალხო დეპუტატთა წითელი წყაროსა და ოჩამჩირის რაიონული საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა (ამ. ამ. მ. გუნჩენკო, თ. კაცუხაია) განაზოგადონ მრავალმანდატიანი ოლქების მიხედვით არჩევნების ჩატარების შედეგები და შესაბამისი წინადადებები წარმოუდგინონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1987 წლის 15 ივნისამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაზვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 29 აპრილი.

№ 1239—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

**91** პარტიის XCVII ურილობისა და სკპ ცენტრალური კომიტეტის

1987 წლის იანვრის კლეიშონის მოთხოვნებითა უსაბამისად საჭმიანობის ფართო საჯაროობის უზრუნველყოფისათვის ეუთაცის სახალხო საბჭოების შემთხვევაში და რაიონული საბჭოების მდივანი პ. კვარაცხელია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრული თავმჯდომარის ამ. ვ. ოყრეშიძის ინფორმაცია, აღნიშვნას, რომ ქალქის აღგილობრივი საბჭოები პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობით ახორციელებენ საბჭოთა შუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფისაკენ მიმართულ ღონისძიებებს. უკანასკნელ ხანს გარკვეულწილად გაიზარდა საქალაქო და რაიონული საბჭოების, მათი ორგანოების როლი და პასუხისმგებლობა სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის მოცანათა გადაწყვეტაში, გაღრმავდა დემოკრატიული საწყისები, გაფართოვდა საჯაროობა.

ამასთან ქუთაისის საქალაქო, ლენინისა და ავტოქარხნის რაიონული საბჭოები, მთელი ორგანოები ნელა გარდაქმნიან მუშაობას; საჯაროობა ჭერ კიდევ



ვერ იქცა ადგილობრივი საბჭოების ორგანიზატორული და აღმზრდელული მუშაობის ძირითად პრინციპიად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების წარმატებით შესრულებისათვის მშრომელთა დასარაზმავად.

საბჭოების სასესიო მუშაობაში კვლავ შეინიშნება ზედმეტი ორგანიზებულობის ელემენტები, ხაკლებია საქართველო, საგნობრივი კრიტიკა და თვითკრიტიკა. სესიების გადაწყვეტილებათა პროექტებს წინასწარ ყოველთვის არ აცნობებ აძმომრჩევლებს, შრომითს კოლექტივებს. შეინიშნება ფორმალიზმი და კამპანიურობა მოსახლეობისა და კოლექტივების წინაშე სბაჭოების, მათი ორგანოებისა და სამსახურების, დეპუტატების ანგარიშგების ორგანიზაციაში.

სათანადო ყურადღება არ ეთმობა დეპუტატების, საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოთა საქმიანობის საჯაროობას. ხშირად საწარმოო უბნებსა და საცხოვრებელ მიკრორაიონებში თვალსაჩინოდ არ არის გამოკრული მონაცემები დეპუტატების შესახებ. ამომრჩევლებმა ზოგჯერ არც კი იციან ვინ არის მათი დეპუტატი ადგილობრივ საბჭოში. დეპუტატთა ერთი ნაწილი არ იჩენს სათანადო აქტიურობას, იშვიათად ხვდება ამომრჩევლებს, წინასწარ არ აქვს გახსახლვრული და თვალსაჩინოდ გამოკრული ძილების საათები. ს. მ. კიროვის სახელობის სამკერვალო გაერთიანებადი, ტრიკოტაჟის ფაბრიკაში, მოტობლოკების ქარხანასა და სხვაგან მომუშავე დეპუტატები რეგულარულად არ მონაწილეობენ საბჭოს სესიებისა და აღმასკომების სხდომებისათვის საკითხების მოძახდებაში, იშვიათად გმილდიან პრესაში შრომითი კოლეეტივებისა და მოსახლეობისათვის საინტერესო საკითხებზე, ნაკლებად მიმართავენ შეკითხვის წესით იმ წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, რომელთა მუშაობაში არსებითი ხარვეზებია.

სერიოზული ნაკლოვანებებია ადგილობრივი საბჭოების ბევრი დეპუტატის მუშაობაში. ისინი ჯეროვნად არ განუდარტევენ ამომრჩევლებს საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შინაარსს, მათი შესრულების მიმდინარეობასა და მოსახლოდნელ შედეგებს. ამიტომაც არის, რომ მშრომელების, მოსახლეობის ერთმა ხაწილმა არ იცის, რა საკითხებზე მსჯელობს საბჭო, აღმასკომი, აქტიურად არ მონაწილეობენ მათს ღონისძიებებში. უფრო მეტიც, არის ფაქტები, როდესაც თვით დეპუტატები არ იცნობენ საბჭოსა და მისი ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, არ არიან ინფორმირებული მათი და ამომრჩეველთა გახაწესების შესრულების მიმდინარეობის, სესიებს შორის აღმასკომის საქმიანობის შესახებ.

ლენინისა და ავტოქარხნის რაიონული საბჭოები სათანადო არ ზრუნავენ ამომრჩეველთა განაწესების შესრულებისათვის მუშაობის საჯაროობაზე. 1986 წელს მათ ერთხელაც არ უმსჯელიათ განაწესების შესრულების მდგომარეობის შესახებ; დღეისათვის ზოგიერთი მათგანი ჯერ კიდევ შესრულებელია.

კვლავ არის მოქალაქეთა წერილებისა და საჩივრების ზერელედ შესწავლის ფაქტები. განცხადება-საჩივრების ვეტორები ყოველთვის არ იღებენ ასომწურავ პასუხს. არის შემთხვევები, როდესაც ამომრული საკითხების შესწავლა-გადაწყვეტა გაუმართლებლად ჭიათურდება, სათანადო ყურადღება არ აქციევა საჩივრების გამომწვევი მიზეზების ღრმა ანალიზს, მათი თავიდან აცი-

ლების გზების ძიებას, რაც მოქალაქეთა განმეორებითი განცხადებების შემთხვევაში ხდება. 1986 წელს ლენინის რაისაბჭოს აღმასკომში შევიდა 57, ხოლო ვეტერანთა რაისაბჭოს აღმასკომში — 50 განმეორებითი განცხადება-საჩივრი.

საჯაროობა გერ კიდევ ნიკლებად არის გამოყენებული სოციალური სა-მართლიანობის პრინციპების შრომისგანდნენ და დამკვიდრებისათვის. ქალაქის ცალკეულ საწარმოში, ორგანიზაციასა და დაწესებულებაში თვალსაჩინოდ არ არის გამოკრული საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების აღრიცხვაზე მყოფი მუშაქებისა და ბინების განაწილების სიები. სრულყოფებს საჭიროებს საჯაროობა სოციალისტური შეგიბრების ორგანიზაციასა და შედევების შეგა-მებაში, პრემიების გაცემასა და საგზურების განაწილებაში.

ქუთაისის საქალაქო და რაიონული საბჭოები, მათი ორგანიზები თვალი-თი საქმიანობის ფართო საჯაროობის უზრუნველყოფისათვის ეფექტუანად ვერ იყენებენ მუდმივი კომისიების შესახლებლობებს. მთელი ქრონი ფორმალურად არსებობს. ვეტერანთა რაიონში კანსაკუორებით ქტუალუ-რია ბუნების დაცვის ღონისძიებათა განხორცილება, მაგრამ შესაბამისი მუდ-მივი კომისია ნაკლებ დაინტერესებას იჩენს ამ საკითხებისადმი.

სერიოზული ხარეული ბერიტორიული და საწარმოო დეპუტატთა ჯგუფების მუშაობაში. 12 საწარმო და 17 ტერიტორიული ჯგუფიდან ნახე-ვარჩე მეტი ფაქტობრივად უმოქმედოდა. ქალაქში სუსტად მუშაობენ მიკ-რორაიონების საბჭოებიც. მათ გერ კიდევ ვერ მთახერხეს საზოგადოებრივ საქმიანობაში მშრომელთა ფართო მასების ჩამა. ალგილობრივი საბჭოების, აღმასკომების გადაწყვეტილებათა მოსახლეობისათვის გაცნობასა და მათი შესრულების ორგანიზაციაში არასაქმარისად მონაწილეობენ უბნის, ქუჩისა და სახლის კომიტეტები. მათი უმეტესობა თავს ვერ ართმევს დებულებით გა-ოვალისწინებულ მოთხოვნებს, უგულებელყოფს საჯაროობას, ვერ რაზმავს მოსახლეობას სანიმუშო საზოგადოებრივი და სანიტარიულ-ჰიგიენური წეს-რიგის დასამყარებლად. საბინაო ფონდისა და ეზოების მოვლა-შენახვის გუმ-ჯობესებისათვის.

ქალაქის საბჭოთა ორგანოების საქმიანობის საჯაროობის უზრუნველყო-ფაში გეროვან აქტიურობას არ იჩენს აღვილობრივი პრესა. მის ფურცლებზე ნაკლებად ქვეყნდება სკაპ X XVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრუ-ლებისათვის, გარდამნისა და დაჩქარების პარტიის კურსის განსახორციე-ლებლად საბჭოების მუშაობის ამსახველი მასალები.

ყოველივე ეს უარყოფით გავლენას ახდენს ადამიანთა შრომითი და სა-ზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის მაღლებაზე, სამეურნეო და სო-ციალურ-კულტურული მშენებლობის მოცანათა გადაჭრისათვის მათს მო-ბილიზებაზე. შედეგად ქალაქის რიგმა საწარმოებმა თავი ვერ გაართვეს ხუთ-წლელის პირველი წლის საგეგმო დავალებებს. არ შესრულდა სახალხო მოხ-მარებას საქმინლის წარმოების გეგმაც. დადებითი ძვრები არ შეიმჩნევა მოსახ-ლეობის საყოფაცხოვრებო, სავაჭრო და კომუნალურ მომსახურებაში.



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოთ ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო, ლენინისა და ავტოქარხნის რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

— პარტიის X XVII ყრილობისა და სკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენურის მოთხოვნათა შესაბამისად უზრუნველყონ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოებისა და მათი ორგანოების, მუდმივი კომისიებისა და დეპუტატების საქმიანობის ფართო საჯაროობა, აქტუალურ გამოიყენონ იგი მშრომელთა, მოსახლეობის შემოქმედებითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის გაზრდისათვის, სამუშაოები და სოციალურ-კულტურული მშენებლობის უმნიშვნელოვანების ამოცანათა გადასაჭრელად მათი დარაჩმვისათვის;

— ვაქესაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას, მისი ეფექტუანობის ამაღლებას, სოციალურ-კონომიკური განვითარების საკითხების გადაწყვეტაში საბჭოების, აღმასკომების, მუდმივი კომისიების, დეპუტატთა გვუფებისა და საგუშავოების, თოთოვეული დეპუტატის როლისა და პასუხისმგებლობის გაძლიერებას;

— ფართოდ დანერგონ საბჭოთა მუშაობის საჯაროობის ისეთი ქმედითი ფორმები, როგორიცაა საბჭოების სესიებისა და აღმასკომების გადაწყვეტილებათა პროექტების წინასწარი განხილვა შრომითს კოლექტივებსა და საცხოვრებელ მიყრობათინებში, საბჭოების, მათი აღმასკომების სმისახურების, დეპუტატების ანგარიშება ანგარიშებისა და შრომითი კოლექტივების წინაშე, აღმასკომებისა და მუდმივი კომისიების გამსვლელი სხდომები შრომითს კოლექტივებში და მოქალაქეთა საცხოვრებელ ადგილის, წარმოება-დაწესებულებების კოლექტივებისა და მოსახლეობისათვის აღმასკომების მუშაობის, მიღებული გადაწყვეტილებებისა და ამომრჩეველთა განაწესების შესრულების მიმდინარეობის გაცნობა; „ლია წერილის დღის“, დეპუტატთა ერთიანი კვირის, „მრგვალი მაგიდის“ გარშემო შეხვედრების, გამსვლელი მიღების მოწყობა; შრომელთა კრიტიკული შენიშვნების, სურვილებისა და წინადადებების შესწავლა, განხოგადება და ფართოდ გამოყენება საბჭოების, მათი ორგანოების მუშაობაში; შრომითი კოლექტივებისა და მოსახლეობის ოპერატიული ინფორმირება მათი კრიტიკული შენიშვნების, სურვილებისა და წინადადებების რეალიზაციის შედეგების თაობაზე;

— აქტიურად გამოიყენონ საჯაროობა სოციალური სამართლიანობის პრინციპების პროცეგანდისა და დამკვიდრებისათვის; მიაღწიონ, რომ ყველა შრომითს კოლექტივში თვალსაჩინოდ იყოს გამოკრული საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების აღრიცხვაზე მყოფი მუშაკების, ბინების, საგზურების განაწილების, პრემიების გაცემის სიები; ძირებულად გააუმჯობესონ საჯაროობა სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციასა და მისი შედეგების შეგამებაში;

— ყოველმხრივ სრულყონ დეპუტატთა საქმიანობა, რეგულარულად უზრუნველყონ ისინი სათანადო საინფორმაციო-საცნობარო მსალებით, დაეხმარონ სადეპუტატო მოვალეობათა განხორციელებაში; მიაღწიონ, რომ ყოველი



დეპუტატი საქმიანად მონაწილეობდეს საბჭოს სესიებისა და აღმასკონარების საფრთხეებისათვის საკითხების მომზადებაში, სისტემატურად ხდებოდეს ამომრჩევლებს, ცნობდეს საბჭოსა და მისი ორგანოების ვადაწყვეტილებათა შინაარსს, მათი შესრულების მიმღიარეობასა და მოსალოდნელ შედეგებს, კარგიდ იცნობდეს ამომრჩეველთა მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს, დღინიადგ ზრუნვდეს განაწესებ ს შესრულებაზე; უფრო ხშირად მოისმინონ სესიებზე დეპუტატთა ანგარიშები თავიათ მოვალეობათა შესრულების თაობაზე;

— საბჭოთა მუშაობის ფართო საგაროობის უზრუნველყოფისათვის აქტიურად გამოიყენონ ადგილობრივი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, მიაღწიონ პუბლიკაციებს-ს გამიზნულობასა და მაღალ ეფექტიანობას;

— საბჭოების სესიებზე განსახილეული საკითხების მომზადებაში უფრო მეტად ჩააბან მუდმივი კომისიები, დეპუტატთა ჯგუფები, საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოები, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები;

— გაძლიერონ საბჭოების აღმასკონმებთან არსებული კომისიების, მიკრორაიონების საბჭოების მონაწილეობა სესიებისა და აღმასკონმების გადაწყვეტილებათა მოსახლეობრივის გაცნობისა და მათი შესრულების ორგანიზაციაში;

— სისტემატურად მოისტინონ საბჭოების სესიებზე, აღმასკონმებისა და მუდმივი კომისიების სხდომებზე საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების, აღმასკონმების სამსახურების ხელმძღვანელთა ინფორმაციები სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მოსახლეობის მოთხოვნილებების დაქმაყოფილების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის დასახულ ღონისძიებათა შესრულების შესახებ;

— გააუმჯობესონ მოქალაქეთა მიღების, მათს განცხადებებზე, საჩივრებსა და წერილებზე მუშაობის დონე;

— შეისწავლონ და განაზოგადონ საბჭოთა მუშაობის საგაროობის დადებითი გამოყილება, ხელი შეუწყონ მისი ქმედითი ფორმებისა და მეთოდების ფართოდ დანერგვას.

2. ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა (ამ. ვ. ოყრეშიძე) ამ დადგენილების შესრულების მიმღინარეობის შესახებ მოახსენოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის აპრილში.

3. კონტროლი აღნიშნული დადგენილების შესრულების მიმღინარეობაზე დაევალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხების განყოფილებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარცხელია.



სტატუსის სსრ უმაღლესი საგვორვე პრეზიდიუმის პრძნებულება

**92 ამხ. 6. პ. მოქაისკის მედლით „წყალწალებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდომების უსახება**

წყალზე ადამიანთა გადარჩენისას გამოჩენილი გამბედიობის, მამაცობისა უა თვეგანწმირებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოვდეს კპტიანი ნიკოლოზ კირილეს ქ. მოჟაისკი მედლით „წყალწალებულთა გადარჩენისათვის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაუბილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 13 აპრილი.

№ 1203—ХI.

სტატუსის სსრ უმაღლესი საგვორვე პრეზიდიუმის პრძნებულება

**93 ამხ. 3. გ. სოლოდენკოს მედლით „წყალწალებულთა გადარჩენისათვის“ დაჯილდომების უსახება**

სიფხიზლისა და საზრიანობასათვის, რის შედეგად აცილებულ იქნა უბედური შემთხვევა წყალზე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით სამხედრო ნაწილის რიგით, ვიქტორ მიხეილის ქ. სოლოდენკო დაჯილდოვდეს მედლით „წყალწალებულთა გადარჩენისათვის“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაუბილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 22 აპრილი.

№ 1222—ХI

სტატუსის სსრ უმაღლესი საგვორვე პრეზიდიუმის პრძნებულება

**94 ამხ. 8. ს. ბაგურაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საგვორვე პრეზიდიუმის საპატიო სიგალით დაჯილდომების უსახება**

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდათ წელთან დაკავშირებით თბილისის ოქტომბ-

რის სახალხო დეპუტატთა რაონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარებელის გივი სარდიონის ქე ბაკურაძე დაჭილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

18586

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 1 აპრილი.

№ 1187—ХІ

სსჩბრთვილოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პრძანებულება

**95** ამხ. პ. ს. ბულას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო დიგენით დაჯილდოვების უსახევა

რესპუბლიკის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ომშოცდათა წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის წყალთა მეურნეობის სამინისტროს მთავარსაქტყალმშენის ტრესტ „კოლხეთშენის“ მმართველი ამხ. კარლო სილოვანის ქე ბულია დაჭილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 1 აპრილი.

№ 1188—ХІ

სსჩბრთვილოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პრძანებულება

**96** ამხ. გ. რ. კვარაცხელიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო დიგენით დაჯილდოვების უსახევა

პარტიულ, კომერციულ ორგანოებისა და სახალხო კონტროლის ორგანებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტის ორგანიზაციული განყოფილების გამგე ამხ. გრამიტონ რაფდენის ქე კვარაცხელია



დაჭილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 1 აპრილი.

№ 1190—X I

სსჩართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

**97** ამხ. 3. ლ. მრელაშვილის საჩართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვადის უსახევა

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის  
და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მწერალი ვლადიმერ (ლადო)  
ლივანის ქ. მრელაშვილი დაგილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბ-  
ჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 1 აპრილი.

№ 1191—X I

სსჩართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

**98** ამხ. 4. ლ. სოტკილავას საჩართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს  
პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვადის უსახევა

საბჭოთა საოპერო ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის,  
ქართული მუსიკალური კულტურის პროპაგანდისათვის და დაბადების ორმოც-  
დათ წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტი, სსრ  
კავშირის სახალხო არტისტი ზურაბ ლავრენტის ქ. სოტკილავა დაჭილდოვდეს  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 1 აპრილი.

№ 1189—X I

საქართველოს სსრ უმაღლესი საგანმანათლებლოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების  
**99** ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში დამსახურებისათვის  
 სსრ უმაღლესი საგანმანათლებლოს პრეზიდიუმის საპატიო ცენტრით და-  
 ჯილდოვანის უსახელის

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში დამსახურებისათვის  
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო ცენტრით და-  
 ჯილდოვანი:

ევგენი ღიმიტრის ძე **გაგუა** — საქართველოს სსრ ფიზიკური კულტური-  
 სა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის უმაღლესი სპორტული ოსტატობის  
 რესპუბლიკური სკოლის მწვრთნელი მდლეოსნობაში, საქართველოს სსრ დამ-  
 სახურებული მწვრთნელი.

ომარ გასილის ძე **მერაბიშვილი** — სპორტული საზოგადოება „დინამო“  
 ქუთაისის საქალაქო საბჭოს მწვრთნელი-მასწავლებელი მიუ-ღოში, საქართ-  
 ველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

ივანე ივანეს ძე **ოგანოვი** — საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა  
 და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ტანკვარგიშის განყოფილების უფროსი,  
 სსრ კაშაშირის დამსახურებული მწვრთნელი.

**ხელი ილიას ასული ხალაძე** — საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა  
 და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის უმაღლესი სპორტული ოსტატობის  
 რესპუბლიკური სკოლის მხატვრული ტანკვარგიშის განყოფილების უფროსი  
 მწვრთნელი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ვილავალიძი.  
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 9 აპრილი.

№ 1197—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საგანმანათლებლოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**100** ამს. ა. პ. არძინებას საქართველოს სსრ უმაღლესი საგანმანათლებლოს პრეზიდიუმის საპატიო ცენტრით დაჯილდოვანის უსახელის

პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუ-  
 შაობისათვის და დაბადების ორმოცდათ წელთან დაკავშირებით საქართვე-  
 ლოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პოლიტგანათლების სახლის

გამგე მმ. ასია პლატონის ასული არძინბა დაჭილდოვდეს საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.  
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 9 აპრილი.

№ 1195—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საგვარეულოს პრეზიდიუმის გრძანებულება

**101** ბათუმის ი. მავრავაძის სახელობის სახელმწიფო დრამათული  
 თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საგვარეულოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვადის უსახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში წვლილისათვის და დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამათული თეატრი დაჭილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 10 აპრილი.

№ 1198—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საგვარეულოს პრეზიდიუმის გრძანებულება

**102** პმხ. გ. ა. წერეთლის საქართველოს სსრ უმაღლესი საგვარეულოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვადის უსახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მმ. მელქისედეკ ალექსანდრეს ძე წერეთლი დაჭილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 13 აპრილი.

№ 1204—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საგანოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები

**103** ამხ. ს. 3. ციმავორიბანის საქართველოს სსრ უმაღლესი საგანოს პრეზიდიუმის საპატიო ცივილური დაჯილდოვანი შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში წელილისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით მწერალი სოს არშავის ძე სიმავორიანი დაჭილ-დოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 14 აპრილი.

№ 1209—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საგანოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**104** ამხ. ს. 3. პელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საგანოს პრეზიდიუმის საპატიო ცივილური დაჯილდოვანი შესახებ

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში წელილისათვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორი, მწერალი ვახტანგ ვასილის ძე ჭელიძე დაჭილ-დოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 14 აპრილი.

№ 1208—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საგანოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**105** ამხ. პ. ღ. პითანაგასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინშინიტის“ საპატიო ფოდების მინიჭების შესახებ

საქართველოს სსრ ენერგეტიკული მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს ს. ი. უუკის სახელობის ლენინის ორდენისანი საკავშირო საპროექტო-სამიებო და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტ „ჰიდროპროექტის“



უბილისის განყოფილების დირექტორს მხ. ანზორ დიანოზის ქვეშ შემთხვევაში „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.  
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 14 მარტი.

№ 1210—Х I

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**106** სახელმწიფო საპროექტო-საძირებო ინსტიტუტ „კავკიპროტრანსის“ საპროექტო სამსახურის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ხაპატიო სიგვლით დაჯილდოების შესახებ

სატრანსპორტო მშენებლობის განვითარებაში დიდი წვლილისაუფის და ღარასებრის 50 წლისთავთან დაკავშირებით სახელმწიფო საპროექტო-საძირებო ინსტუტუტი „კავკიპროტრანსი“ დაჭილდოების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ხაპატიო სიგვლით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 16 მარტი.

№ 1214—Х I

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

**107** სახელმწიფო საპროექტო-საძირებო ინსტიტუტ „კავკიპროტრანსის“ მუშაობის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ხაპატიო სიგვლით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისა და სატრანსპორტო მშენებლობის განვითარებაში დიდი წვლილისათვის, სახელმწიფო საპროექტო საძირებო ინსტიტუტ „კავკიპროტრანსის“ დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ხაპატიო სიგვლით დაჭილდოებენ ინსტიტუტის თანამშრომლები:

ხალატ არშაკის ქვეშ — სადგურებისა და კუნძულების განყოფილების პროექტის მთავარი ინჟინერი.

ლაზარე ზოსიმეს ძე ალპეროვიჩი — ტექნიკურ ნაგებობათა განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

ნინო ვასილის ასული გვარამაძე — ხელოვნურ ნაგებობათა განყოფილების პროექტის მთავარი ინჟინერი.

ორანჯ ზაქარიას ასული კოჭაძე — ხელოვნურ ნაგებობათა განყოფილების პროექტის მთავარი ინჟინერი.

მოგელი გომრვის ძე კრავევიშვილი — ელექტრიფიკაციის განყოფილების პროექტის მთავარი ინჟინერი.

ნიკოლოზ ლუკას ძე ლომიძე — სამრაწველო-სამოქალაქო ნაგებობათა განყოფილების პროექტის მთავარი არქიტექტორი.

დანა პავლეს ასული ლორთქიფანიძე — მხატველი.

ზარუუ გარნიერის ასული ლორთქიოთანიძე — ხელოვნურ ნაგებობათა განყოფილების პროექტის მთავარი ინჟინერი.

ვალენტინ ნიკოლოზის ძე სუროვაცი — საინჟორო განყოფილების პროექტის მთავარი ინჟინერი.

ლევ არკადის ძე ჩადრანოვი — სიგნალიზაციის, ცენტრალიზაციის, ბლოკირიბისა და კავშირგაბმულობის განყოფილების პროექტის მთავარი ინჟინერი.

კარინა რუდოლფის ასული ჯაგინოვა — მემანქანე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 16 აპრილი.

№ 1215—XI

საქართველოს სარ უმაღლესი საგვოს პრეზიდიუმის პრეზიდულება

**108** ამხ. ს. ტ. რიგგავას საქართველოს სსრ უმაღლესი საგვოს პრეზიდიუმის საპატიო დეპალით დაჯილდოვების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და კომერციულ ორგანიზმი ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველი ამხ. სერგო ტარასის ძე რიგგავა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო ხიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 16 აპრილი.

№ 1213—XI



საქართველოს სსრ უმაღლესი საპატიოს პრეზიდიუმის ბრძანებულებულების  
**109** ამს. 6. 3. აცლებლაპის საქართველოს სსრ უმაღლესი საგადით დაჯილდოვაბის ზესახებ

სამეცნიერო დაწესებულებებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის  
 და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის ლენი-  
 ნის ორდენისანი ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერე-  
